

გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს			
თვე	მან.	თვე	მან.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შუბრი

ივერია

გაზეთის დასაყვებად და კერძო განცხადებათა დასაბუღებად უნდა მიჰმართონ: თბილისი რედაქციას, კუკიაში, ავტოგრაფის ქუჩაზე, კანონიერად დასაბუღების პირდაპირ, თავ. გრუზინისკოვს სასალონოში; წერა-კითხვის განყოფილებაში კი—საბუღების განყოფილებაში, სასალონოში, სასალონოში, სასალონოში.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1893 ს ა ზ ე თ ი ლ ი რ ს და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი 1877—1893

პრილოვის სარკვევი
 თარგმანი
 აკაკი წერეთლის-მიერ
 ფასი 30 კ. უღირთ 40 კ.
 ეს წიგნი მოწონებულია კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის რჩევისაგან შესაძენად სამსწავლებლო და სამოსწავლო ბიბლიოთეკებისათვის საშუალო და დაბალ სასწავლებლებში და აგრეთვე მიღებულია ხელ-საწყობად ქართულის ენის სწავლებისათვის იმავე სასწავლებლებში. ვინც ერთად დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალია—დაეთმოა 20%.

დაიბეჭდა და ისყიდება
შინაური საქონელი
 მისი გონიერი მოვლა-მოხმენება.
 ავ. რასტკინის-შეგებად.
 გამოსცემა
 წერა-კითხვის განყოფილებაში, სასალონოში.
ფასი ერთი შუბრი
 (5—3)

გიგინი სვანეთში
 სვანეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ დიდი შიმშილი არის ამ ქსად; ახალი მოსავალი ჯერ კიდევ შორსაა და ჭამის ხალხი ვაწყდეს შიმშილით, დასძენს კორესპონდენტი.
 ჩვენ სრულიად ვერა გავიგობრა აქ! ერთის მხრით, გვაკვირვებს ისა, რომ, თუ შარშან სვანეთში საკმაოდ მოსავალი არ იყო, რატომ აქამდის ვერ შევიტყუეთ საიდანმე?

ფელეტონი
მოგაგონდა
 (სურათი რკინის გზის ცხოვრებისა)
 მშენებელი მისის დღეა... თეთრ ბამბასავით კვამლი ორთქლ-მავლისა ჰაერის სივრცეში უგზო-უკვლოდ იფანტება! რკინის გზის ლიანდაგის ორივე მხარეზე ერთგვარი, თვალ-გაღუწვდენელი მინდვრებია. დღეს ამ გავერანებულ მინდვრებისათვის გაზაფხულის სიძლიერეს ცოტა სიკოცხლის ფერი მიუტოვა. მწვანედ შეუმოსავს მუდამ გამურული, გამხმარი არე-მარე...
 აქ-იქ თუ შეასწრობთ თვალს გზის ყარაულების პატარ-პატარა სახლს, თორემ სოფელ-ქალაქს აქ ვერ შეზხედებით. ირგვლივ მაწანწალა მგელტურების სამეფოა. გაზაფხულმა—ამ ბუნების გამაცოცხლებელმა დრომ—მუდამ მოქუშული მინდვრებიც-კი გამოაცოცხლა. მაგრამ ახალგაზდა,

მეორე, არა ნაკლებ გასაოცრად მიგვიჩნია ისიც, რომ ვითომ ადგილობრივ მართებლობადი არ მიეღწიოს ხალხის გაჭირვებას, და ვისიც პირდაპირი ვაღდებულობა ჩაბარებულ მხარის ჭეშმარიტი მდგომარეობა მოახსენოს უმაღლესს მთავრობას, რომ იმათ ეს თავის მოვალეობა არ შეესრულებინათ.
 ჩვენ თითონ ვიცნობთ ღერხუმის მაზრის გამგეს ბ-ნ ალბიზაის და სრულიად ვერ წარმოგვიდგენია, რომ ამისთანა დიდი გასაჭირი ხალხისა უყურადღებოდ დაეგდოს ან გამოჰკაროდეს ღერხუმის მაზრის გამგეს.

ზოგიერთ კორესპონდენტთა რომელიმე შემთხვევის აღმატება და გაზვიადება უყვართ ხოლმე. იქნება ეს მოწერილ ამბის შხოს მისაცემად მოსდით, რადგანაც, როგორც მოწადილები ამბობენ: თუ ცოტა არ მოუმატე ნამდვილს შემთხვევას, ისე ამბავს ინტერესი არა აქვსო. იქნება ამ ნაირად მოკაზმულს ამბავს მეტი ინტერესიც ჰქონდეს, მაგრამ ეს არც ჩვენთვის არის საჭირო და არც საზოგადოებისთვის.
 მაგრამ, დემოტმა ნუ ქნას, კორესპონდენტებისაგან მოწერილი სვანეთის შიმშილი ნამდვილი გამოდგეს, თორემ ძალიან სამწუხარო და ძნელი საქმე იქნება.

ჯერ ისა რომ სვანეთში თავისთავად დარბი ხალხია, ჯერ იმათ არ მოსდით და პური. მთელი წელიწადი მხოლოდ ქერით იკვებებიან და ესეც თუ მოაკლდათ, სწორედ ღვთის რისხვა იქნება!
 რასაკვირველია, დახმარება შესაძლებელია და სავალდებულო, მაგრამ დაბრკადლება იმაზე, რომ ეს დახმარება უგზობის გამო ვერაფრად გამოადგება ხალხსა. ყო-

ველს შემთხვევაში, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ნამდვილს მდგომარეობას სვანეთისა შეგვატყობინებენ და არ დაგვტოვებენ ეჭვს ქვეშ იმაზე, თუ რა ამბავია დღეს სვანეთში?
 თუ, ვინცობაა, აღმოჩნდა, რომ ხალხი მართლად დამძულა, მაშინ ქართველი საზოგადოება, რასაკვირველია, არ დაიმურებს თავის წვლილს, რომ შორეულს ჩვენს ძმებს შეუმსუბუქეს გაჭირვება.

ახალი ამბავი

წერა-კითხვის განყოფილებაში საზოგადოებას შემოსწირეს: მ. საბინინმა სამი ისტორიული დოკუმენტი—წიგნისა ცავისათვის, მღვდ. ლ. ტურევიმ თავის საჯარო ისტორიის 300 ცალი, საზოგადოების სკოლებში დასარიგებლად, და მღვდ. ნ. ყუბანევიმ მის-მიერ თხზულის წიგნაკის—ცხოვრება და მოღვაწეობა დათვ. გარეჯელისა 50 ც., მუქთად დასარიგებლად სკოლებსა და ბიბლიოთეკებში.
 საზოგადოების გამგეობა მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

21 ივნისს წმ. იოანეს ეკლესიაში დეკანოზმა დავით გურგენიძემ მონათლა ერთი მაჰმადიანი. ახლად მონათლულს სახელია ეწოდა დიმიტრი.
 სამოსწავლო უწყებას განზრახვა აქვს თურმე მომავალ წელს ტფილისის გიმნაზიის მოწაფენი მთელ ზაფხულში გაგზავნოს საბერძნეთში, ამ ქვეყნის დასათვალისწინებლად.

25 ივნისს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ინსპექტორმა ვ. რცხილაძემ წარუდგინა ქალაქის გამგეობას 1,689 მ. 55 კ., რომელიც წელს სკოლას შემოსვლია სახელოსნოში გაკეთებულ სხვადასხვა ნივთების გაყიდვით. შარშანდელთან შედარებით წელს სკოლას შემოსვლია 512 მ. 45 კაპიკით მეტია, ვიდრე შარშან.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველობა შეუდგა აისორთათვის ანბანისა და ლექსიკონის შედგენას.

25 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლოში ი. ო. პარჩევას თავმჯდომარეობით გაიჩა საქმე მიხელ ქუმსიშვილისა (მეტი სახელი ვორონცოვი), ნიკოლოზ კერტკაშვილისა, დავით რთველიძის და ესტატებროძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ, რომ ბ-ნ კაუფმანის სახლს დაეცნენ და გაძარცვეს, გაიტანეს ფული და ნივთები ათას მანათისა. ბრალდებულთა დამცველებად იყვნენ სასამართლოსაგანვე დანიშნულნი ნაფიცი ვექილები:—ქუმსიშვილისა—ი. ს. ტერ-სტეფანოვი კერტკაშვილისა—მელიქ-შუბაროვი, რთველიძისა—სლინკო და ბროძელსა—ნაფიცი ვექილი ტურკვეინი.
 ბრალმდებელად იყო კ. შმიდტი. საქმე ირჩეოდა დამის 11 საათამდე და განჩინების გამოცხადება გადღედა 26 ამა თვისათვის. 26 სასამართლომ შემდეგი განჩინი გამოაცხადა: მიხელ ქუმსიშვილსა და ნიკოლოზ კერტკაშვილს აეხადოს ყოველივე ღირსება და გაიგზავნოს 10 წლის ვადით კატორღაში და შემდეგ საუკუნოდ ციმბირში დასახლდეს, ბროძელს—სამის თთვის ვადით დაპატიმრება. ხოლო რთველიძე—სასამართლომ სრულიად გაამართლა.

მავლის ხმა, სიარულიც ხომ დიდად განიჩეოდა სხვა ორთქლ-მავლების ხმასა და სიარულისაგან. განა ელენე არ ეუბნებოდა ხოლმე ნიკოს, სამ ვერსის სიშორეზევე გავიგებ ხოლმე, რომ შენ მოსდინარო. შენი ორთქლ-მავლის ხმის ყოველივე წვლილი ზედ-მიწევნივთ ვიცო. მაგრამ უკანასკნელი საღამო! ბაქანის სადგურზე ელენე რომ ეთხოვებოდა ნიკოს, იმის მარჯვენა ხელი ჩუმად გულზე მიიღო. საშინლად სცემდა ელენეს გული. მთელი დამე მოუსვენრად გაეტარებინა. ელენემ იცოდა, რომ ნიკოს დღეს უნდა ჩამოეარნა და თავისი გადაყვანის ამბავი უნდა ჩამოეტანა... ნიკო ნათლად მიხვდა ელენეს უძლობის მიხვებს და ვითომ დასამშვიდებლად უთხრა:

—სამს დღეზე ჩამოვივლი და დავრჩები აქ... მაშინ დავაბოლოვოთ ჩვენი საქმეო. ელენემ დარცხვენით ჩაღუნა თავი და ხელი გაუშვა. ნიკო საჩქაროდ გაექანა ორთქლ-მავლისაკენ. მკვირცხლად შეგზბა ზედ,

ოთხშაბათს, 30 ივნისს, სალამოს 7 საათზედ, „იუენი ნომრებში“ დანიშნულია კრება სომხურ თეატრის კომიტეტისა და სცენის მოყვარეთა კრებას სხვებსაც შეუძლიანთ დაესწრენ.


ტელეფონები გამართა კიდევ: მთავარ-მართებლის კანცელარიაში №77, ელიზაროვის მალაზიაში №55, აკოფოვის მალაზიაში №73, მეშიდე ნაწილის პოლიციის კანცელარიაში №60, თამაშოვის წისქვილი №90 მეტეხის ციხე ხარფუხის საპატრირო №75, ზეთის ქარხანა ალიხანოვისა და თაიროვისა №42, წოვიანოვების კანტარა №92, მეექვსე ნაწილის პოლიციის კანცელარია №90, და ადელხანოვის ქარხანაში №99.

სერო განალების მინისტრმა შეატყობინა ყველა საშუალო სასწავლებლის უფროსებს, ყურადღება მიაქციეთ ფრანგულ ენაზედ ახლად დაბეჭდილ ბასტენის ქრისტომატიას, რადგანაც ეს წიგნი საკმაოდ კარგია ფრანგულ ენის შესწავლისთვისაო. წიგნის სათაური: „Chrestomatie litteraire. Morceaux de lecture ou exercices de conversation, de narration et de memoire“.

ბაქა: ეს რამდენიმე ხანია, რაც ბაქაში ნავთის ვაჭრობა ძლიერ დაეცა. არაოდეს ისე ძვირად არა ჯდება ნავთი ბაქაში, როგორც ესლა ჯდება და არაოდეს ნავთის ფასი ასე მცირე არა ყოფილა.
 ბირჟაზედ ფასი დაწმენდილის ნავთისა ამ ჟამად 5 და 4 1/2 კაპიკია, ხოლო დაუწმენდავ ნავთში 1 კაპიკისა არ იძლევიან ფუთში. ნავთის ვაჭრები დაღვრემილნი ზე დაღვრემულნი არიან. სამინისტროს თხოვნა მართვეს ნავთის ტარიფს მოუკელითო,

ჩვეულებრივ ხმის აკანკალებით დასტვინა და მატარებელი დაიძრა... ერთი ხელი ორთქლ-მავლის ქანკაზე ექირა მაგრა, მეორე ხელით ქულს უქმევდა და ემშვიდობებოდა ელენეს.

მესამე დღე გავიდა. ნიკოს არ ერგო ჯერი და ვერ ჩამოიარა. მხოლოდ მეოთხე დღეს მისცეს ნება გასძლილოდა ორთქლ-მავლს. მაგრამ სიამოვნებითა და სიხარულით სავსე ნიკოს სადგურზე გულს შემოეყარა. ელენეს მშობლები ტფილისში წასულიყვნენ და ქალიც თან წაეყვანათ. წელ-მოწყვეტილი ნიკო ზარმაცად მივიდა ორთქლ-მავლთან და მატარებლის სადგურიდან წასვლამდე ორთქლ-მავალს არ მოჰშორებია. სადგურის მოსამსახურეებს დიდად უყვირდათ, რომ ორთქლ-მავალი № 276 უნდლიად—დინჯად დაიძრა სადგურიდან. წასვლის დასტვენაც-კი რაღაც სამგლოვიარო, შესაზარი იყო! ვინ იცოდა, ნიკოს გულში რა გენია ტრიალებდა. ნიკომ



საქონელი... რომ მთავრობამ...

ფოთი: ჩვენს ქალაქში არსად... მთავრობამ...

სოლო აქაც არ ასცდა ბ-ნს ტუ... საზოგადოების გულ-გრილობა...

25 ივნისს მიხვილის ქუჩაზე, ქიქინაძის... უცრად გარდაიცვალა 55 წლის...

დაბატ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

საზოგადოების გულ-გრილობა... დაბატ სოფელი...

სახლს, სადაც ელენე სცხოვრობდა... და ცრემლები ჩამოსცივდა...

— გაპყიდეს... გაპყიდეს ჩემი სი... ცხლად ბედნიერება... მითომდა ამ...

როგორც მკითხველს მოეხსენება, ეს... სასწავლებელი არსებობს აქაურ მკვი...

I განყოფილებიდან გადავიდა შე... მდგვ განყ. 24, დარჩა ამავე განყ. 2,

II განყოფილებიდან გადავიდა 18, დარჩა 2 და ეგზამენი დაენიშნა 2.

მეორე კლასის I განყოფილებიდან გადავიდა 15, ეგზამენი დაენიშნა 1 და დარჩა 1.

სამ საათზე სამოქალაქო ბაღში გა... მართული იყო გამოსათხოვებელი სა...

*) ეს სასწავლებელი გადაკეთდა ორ-კლასიან სასწავლებლად შარშან, ამიტომ უკუნასკნელ განყოფილებაში მეტი არა სწავლობდა.

რომ ასეთის თანაგრძობით და გულ-წრფელობით ეცათ პატივი მისთვის, ვისთვისაც სადილი ვამართულა, ან ასეთი სიტყვები წარმოთქმულიყოს და ასე დასაჩუქრებული გაესტუმრებინათ ვინმე; მასწავლებელი ქ-ნი ქიქინაძე დასაჩუქრებულ იქნა აქაურ საზოგადოების მიერ სურათებიანის „ვეფხისტყაოსნით“, ძვირფასის ოქროს სამაჯურით, რომელიც მართვებს აქაურმა მანდილოსნებმა, და სხვა-და-სხვა ნივთებით.

სადამოს პატარა მოსწავლე ქალებმა ამავე ბაღში თავი მოიყარეს და ყველანი ცრემლ-მორთულნი გამოეთხოვნენ თავის კეთილს მასწავლებელს. ამ გამოთხოვების ყურებით დიდებმაც ვეღარ შეიმარგეს ცრემლი თვალებზე. დიდად საგულდისხმო და სასიამოვნო წამი იყო ეს წამი.

წამილი კივილიდან.

წელს კივიის სხვა-და-სხვა სასწავლებელში სამმა ქართველმა დაამთავრა სწავლა: კივიის სასულიერო აკადემიაში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ბ-ნმა ილია ფერაძემ; ვლადიმირის უნივერსიტეტში ფარმაცევტმა ბ-ნმა დავით ჯუღელიმ პრაქტიკულად და სამხედრო სასწავლებელში თ. ვასილ მაყაშვილიმ. ბ-ნმა ფერაძემ წელს მეოთხე კურსზე, როგორც საზოგადოდ მიღებული სასულიერო აკადემიებში, გათავებისას დასწერა საკანდიდატო თხზულება საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესახებ შემდგომისათვის: საქართველოს ეკლესია დავით აღმაშენებლის მეფობის დროს. შრომა ბ-ნ ფერაძისა საქმოდ მოზრდილი გამოვიდა და განყოფილება სამ თავად. პირველი თავი შეიცავს საქართველოს ეკლესიის გარეგან ცხოვრების ისტორიას; მოგახრობილია ქრისტიანობის გავრცელების ამბავი მეზობელ ერთა შორის საზოგადოდ და კერძოდ მთიულეთში ქართველ მისიონერების მოღვაწეობით და დავითის სამოლიტო, სამოქალაქო და საეკლესიო მოღვაწეობა.

მეორე თავი გვიხატავს ეკლესიის შინაგანს ცხოვრებას. აქ ავტორი ვრცლად ლაპარაკობს საქართველოს ეკლესიის იერარქიაზე, მის წეს-წყობაზე და მოღვაწეობაზე. აქვე ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ დამყარდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა ანუ ავტოკეფალია. ავტორის აზრით, ეს მოხდა დავითის დროს რადგანაც მაშინ ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქია, რომელსაც ჩვენი ეკლესია ემორჩილებოდა გაუქმებულ იქნა ჯვაროსანთა მიერ. აი სწორედ ამ დროს დამყარდა საქმით (de tacto) საქართველოს ეკლესიის თვით მყოფლობა კანონით-კი წინაღუ აღიარებული. ამ თავშივე ავტორი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს რუისის საეკლესიო კრებას, დავითის ბრძანებით შემდგარს. ავტორი იკვლევს, მიზეზს, რომელმაც გამოიწვია კრების მოწოდება, მის აზრს და მნიშვნელობას. შემდეგ ავტორი არჩევს ამ კრებას დადგენილებას, ისტორიულსა და კანონიურის მხრივ; განმარტავს მათ მნიშვნელობას, უდარებს სხვა ეკლესიასთან ამ გვარსავე დაწესებულებათა. მეორე თავი უკეთესი ნაწილია თხზულებისა თავის საბუთიანობითა. თავში ავტორი მოგვიხატავს სასულიერო სწავლა განათლების ვითარებას იმ დროს. პირველად აღნიშნავს იმ ვითარებას, რომელიც ხელს უწყობდა ანუ აფერხებდა სწავლა განათლების საქმეს; უჩვენებს იმ ადგილებს, სადაც ქართველები იღებდნენ სასულიერო და საერო განათლებას; მოგვითხრობს მონასტრების სკოლების ამბავს როგორც თვით საქართველოში, ისე საზღვარ გარე, მოჰყავს პროგრამა, რომელიც შემოღებულ იყო სკოლებში, მაგალითად ავტორი ჩამოსთვლის მაშინდელ საეკლესიო მწერლებს, მოკლე ბიოგრაფიის ზედღამატებით. ავტორს მოჰყავს ნიმუშები მაშინდელ ორიგინალურ და ნათარგმნ საეკლესიო ლიტერატურისა. შესავალში ავტორი გვიხატავს მაშინდელ წინა აზრის პოლიტიკურს მდგომარეობას. დამატებაში მოთავსებულია რუისის კრების დადგენილებანი, დავითის ანდერძი და მისივე საგალობლები.

რეცენზენტებმა, პროფესორმა მელიშვილმა, რომელიც ცნობილია როგორც ერთი უკეთესი მკვლევარი, საქართველოს საეკლესიო ისტორიისა, და პროფესორმა ბულდაკოვმა ძლიერ მოიწონეს ბ-ნ ფერაძის გამოკლავი კენესა არავის მოესმა... მატარებელი მისრიალებდა...

ნიკოს მარჯვენა ხელი-ფეხ მოგლეჯილი გვამი გზის ყარაულმა სადა მოთი ლიანდაგის დათვლიერვის დროს იპოვა. ჩვეულებრივ გამოაცხადა გზის უფროსის ყარაულთან... გვამი მახლობელ სადგურზე მიიტანს და აქ შემოწმებისავე უმაღლ დასაფლავეს... სიცოცხლით თუ ვერ ეღირსა ნიკოს იმ სადგურზე ყოფნა, სადაც ელენე სცხოვრობდა წინა, როცა სულით და გულით ნიკოს ეკუთვნოდა, ეხლა ის სადგური ნიკოს სამუდამო ბინად გახდა...

ნიკოს წერილი დანიშნულისამერვერ მივიდა. კარგა გზა რომ განვლო მატარებელმა, უფროსმა კანდუქტორმა ჩამოიარა მატარებელს ვაგონებში. ნიკო ვერ შენიშნა. მახლობელ სადგურს რომ ვაცხადა მატარებელი, მაშინ-კი დაუწყო ვაგონებში ნიკოს ძებნა. მაგრამ საწყალს საღ იპოვიდა.

ბილებსა, ვანსაკუთრებულ უფლებასა და მოღვაწეობაზე. აქვე ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ დამყარდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა ანუ ავტოკეფალია. ავტორის აზრით, ეს მოხდა დავითის დროს რადგანაც მაშინ ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქია, რომელსაც ჩვენი ეკლესია ემორჩილებოდა გაუქმებულ იქნა ჯვაროსანთა მიერ. აი სწორედ ამ დროს დამყარდა საქმით (de tacto) საქართველოს ეკლესიის თვით მყოფლობა კანონით-კი წინაღუ აღიარებული. ამ თავშივე ავტორი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს რუისის საეკლესიო კრებას, დავითის ბრძანებით შემდგარს. ავტორი იკვლევს, მიზეზს, რომელმაც გამოიწვია კრების მოწოდება, მის აზრს და მნიშვნელობას. შემდეგ ავტორი არჩევს ამ კრებას დადგენილებას, ისტორიულსა და კანონიურის მხრივ; განმარტავს მათ მნიშვნელობას, უდარებს სხვა ეკლესიასთან ამ გვარსავე დაწესებულებათა. მეორე თავი უკეთესი ნაწილია თხზულებისა თავის საბუთიანობითა. თავში ავტორი მოგვიხატავს სასულიერო სწავლა განათლების ვითარებას იმ დროს. პირველად აღნიშნავს იმ ვითარებას, რომელიც ხელს უწყობდა ანუ აფერხებდა სწავლა განათლების საქმეს; უჩვენებს იმ ადგილებს, სადაც ქართველები იღებდნენ სასულიერო და საერო განათლებას; მოგვითხრობს მონასტრების სკოლების ამბავს როგორც თვით საქართველოში, ისე საზღვარ გარე, მოჰყავს პროგრამა, რომელიც შემოღებულ იყო სკოლებში, მაგალითად ავტორი ჩამოსთვლის მაშინდელ საეკლესიო მწერლებს, მოკლე ბიოგრაფიის ზედღამატებით. ავტორს მოჰყავს ნიმუშები მაშინდელ ორიგინალურ და ნათარგმნ საეკლესიო ლიტერატურისა. შესავალში ავტორი გვიხატავს მაშინდელ წინა აზრის პოლიტიკურს მდგომარეობას. დამატებაში მოთავსებულია რუისის კრების დადგენილებანი, დავითის ანდერძი და მისივე საგალობლები.

რეცენზენტებმა, პროფესორმა მელიშვილმა, რომელიც ცნობილია როგორც ერთი უკეთესი მკვლევარი, საქართველოს საეკლესიო ისტორიისა, და პროფესორმა ბულდაკოვმა ძლიერ მოიწონეს ბ-ნ ფერაძის გამოკლავი კენესა არავის მოესმა... მატარებელი მისრიალებდა...

ნიკოს მარჯვენა ხელი-ფეხ მოგლეჯილი გვამი გზის ყარაულმა სადა მოთი ლიანდაგის დათვლიერვის დროს იპოვა. ჩვეულებრივ გამოაცხადა გზის უფროსის ყარაულთან... გვამი მახლობელ სადგურზე მიიტანს და აქ შემოწმებისავე უმაღლ დასაფლავეს... სიცოცხლით თუ ვერ ეღირსა ნიკოს იმ სადგურზე ყოფნა, სადაც ელენე სცხოვრობდა წინა, როცა სულით და გულით ნიკოს ეკუთვნოდა, ეხლა ის სადგური ნიკოს სამუდამო ბინად გახდა...

ნიკოს წერილი დანიშნულისამერვერ მივიდა. კარგა გზა რომ განვლო მატარებელმა, უფროსმა კანდუქტორმა ჩამოიარა მატარებელს ვაგონებში. ნიკო ვერ შენიშნა. მახლობელ სადგურს რომ ვაცხადა მატარებელი, მაშინ-კი დაუწყო ვაგონებში ნიკოს ძებნა. მაგრამ საწყალს საღ იპოვიდა.

კვლევა და ერთ ხმად მიუსჯეს ბ-ნს ფერაძეს ღვთისმეტყველების კანდიდატობის ხარისხი. პროფესორ-მელიშვილის აზრით, ავტორი იქნებოდა ანტიოქიის კათალიკოსის ცალკე მნიშვნელობის წესწარების შემდეგ, რადგანაც შიგ ბევრა რომ საყურადღებო მოიპოვებამისთვის, ვინც მსოფლიო ეკლესიის ისტორიას სწავლობს. ბ-ნმა მადონიშვესკიმ ურჩია ავტორს, შეიმუშაოს თავისი თხზულება და შემდეგ წარუდგინოს აკადემიის რჩევას სამაგისტრო ხარისხის მისაღებად.

ორიოდე სიტყვა ბ. ჯუღელსა და ბ-ნ მაყაშვილზედაც. ბ-ნი ჯუღელი სწორედ მაგალითია შრომის მოყვარეობისა და შეურყვევლის ენერგიისა. ბ-ნი ჯუღელი ხანში შესული კაცია, ცოლ-შვილიანი და აფთიაქის პატრონი, ისე გაუტაცნია სწავლის სურვილს, რომ თავს ანებებს ყველა ამას რაოდენისამეხნით და მიდის კიევში სწავლის დასამთავრებლად. კიევში ბ-ნი ჯუღელი ორის წლის განმავლობაში მხნედ და გულ-მოღვინედ მუშაობს და წელს მშვენიერად ათავებს სწავლას პრაქტიკობისა. ბ-ნს მაყაშვილს პირადად ვერ ვიცნობ, მხოლოდ, როგორც მისმა დაახლოებულმა ამახანაგებმა მითხრეს, მშვენიერად თურმე სწავლობდა და ნიჭიერ და შრომის მოყვარე ყმაწვილია. სამწუხაროდ, ამ ყმაწვილმა კაცმა ქართული წერაკითხვა სულ არ იცის და, მაშასადამე, ქართულ ლიტერატურასა და მწერლობასაც ვერ ადევნებდა თვალ-ყურს. იმედია, თუ მოისურვებს, ადვილად მოიშორებს ამ ნაკლს თავიდან. სურვილი იყოს და ქადა ორივე ხელით იქმევა.

ქ. კიევი მ. ჩ.—ძღ

იხანე კურთხეული!

(ინდოელთა ლეგენდა)

ჭებრაგ სენკეაანისა

ერთხელ, მშვენიერ მთვარიან ღამეს ძლიერ დაფიქრდა ქვეყნის მკურთხეული ბრძენთა-ბრძენი კრიშნა და ფიქრის შემდეგ წარმოთქვა:

— მეკონა, ადამიანი გვირგვინი იყო მთელის ქვეყნისა, მაგრამ მოგტყუედი. აგერ ლოტოსის ყვავილსა

დიდ სადგურზე აცნობა სადგურის უფროსს, რომ ესა-და-ეს რკინის გზის მოხელე მოდიოდა მატარებლით, და არ ვიცო, სად გაქარაო. ლაპარაკში ნიკოს წერილიც ამოიღო. ეს წერილი გადმოშტა ფოსტაში გარდასაცემად. წერილი გახსნეს. წერილი მეთად მოკლე იყო.

ელენე, „გაგყიდეს განა! ოჰ! ჩემო სიცოცხლევ, შენმა მშობლებმა შენი სილამაზე გაპაბდეს შენის უბედურების მიზეზად და... ეჰ, მშვიდობით!“ ნიკო.

ერთი წელიწადი გავიდა ნიკოს სიკვდილის შემდეგ. ელენემ შეიტყო ნიკოს უბედურობა. შეიტყო ისიც, თუ სად ასაფლავია უბედური ნიკო! ქმრისა და მშობლების იღუმალ ელენემ ნიკოს საფლავზე პატარა ძველი დაადგმევინა. ძველს სულ ორი სიტყვა აწერია: „გაყიდულის მსხვერპლს“. ი. კახელი

ვხედავ. ნელ-ნელა არხევს სიო ღა-
მისა. რა შეეძლება ნეტა ამ ყვა-
ვილს და თვით სულდგმულთ შორის
რა სჯობს მშვენიერს ნახსა ლოტოსს.
სა! აგერ გაბადრულ მთვარის ვერც-
ხლის სხივები შემოჭვავდნენ და ლო-
ტოსს შუქისთვის ნახი ფოთლები გა-
დუფენია.

— დიად, კაცო შორის არა არის-
რა ლოტოსის მზავსი, — განიშო-
რა მაღალმა კრიშნამ. ცოტა ხანს
შემდეგ ისევ იფიქრა:

— ნუ თუ მე, თვით მაღალღმერთ-
ისა, ქვეყნის გამგენსა, არ ძალმიძს
გაჩენა ისეთ ღრსების, რომ კაცთა
შორის იგივე იყოს, რაც მშვენიერი
ნახი ლოტოსი — ყვავილთა შორის.

მაშ გაეხარებ ხალხს და ქვეყანას.
დაე, ლოტოსი წამსვე გადიქვს უმან-
კო ქალად!

ზღვა ოდნავ შეიშრა, ღამე გა-
ნათლდა, მთვარე გაბრწყინდა და
კრიშნას თვალწინ წარმოუდგა მშვე-
ნიერი ლოტოსი ქალის სახითა.

თვით ღმერთი განცვიფრდა და
უთხრა ლოტოსს, ქალად ქცეულსა:

— აქამდე იყავ ტბისა ყვავილი,
ამიერიდან ყვავილი იყავ ჩემის ფი-
ქრისა... ილაპარაკე!

ქალმა მოახსენა უფალს ისეთის
ნახის ხმით, გვეგონებოდა, ქალი-კი
არ ლაპარაკობს, გრილი სიო ჰკოც-
ნის ლოტოსის თეთრ ფოთლებსაო.

— ღმერთო! შენის ნებითა სულ-
დგმულად ვიქეც. აწ საღვიცხოვრო?
ხომ კარვად იცი, როცა ჯერ ისევ
ყვავილი ვიყავ, მუდამ ვწმინდადი —
მეშინოდა ქარისა, წვიმის, ელვა ქუ-
ხლის, მზის ცხარე სხივისა-კი. შე-
ნისვე ნებით მე ისევ შემრჩა ჩემი
ბუნება, და ეხლა მეშინიან დედამიწისა
და ყველა სულდგმულისა... სად
ვიცხოვრო?

კრიშნამ აღაპყრო თვალნი ზეცი-
სკენ, დაფიქრდა და ჰკითხა:

— გინდა მთის წვერზედ დაგა-
სახლო?

— თოვლია იქ, ცივა, უფალო:
მეშინიან.

— მაშ ტბის ძირში ავიგებ ბრო-
ლის სასახლეს.

— ტბის ძირში საძაგელი, საში-
შარი ცხოველებია: მეშინიან.

— მაშ თვალ-გაუწვიდნენ მინ-
დორში დავასახლებ.

— არა, უფალო! იქ ქარიშხლისა
შემეშინდება.

— მაშ, ჩემო კარგო, აბა რა გი-
ყოს? სად დავასახლო?... გინდა ელლო-
რის ღვიმე-მალაროს ვაღაგიქცევ
მშვენიერ სასახლედ. იცხოვრე იქა,
ქვეყნის მოშორებით!

— ბნელა, უფალო, მალაროშია:
მეშინიან.

ქვავდ ჩამოჯდა ბრძენთა-ბრძენი
კრიშნა. დაფიქრდა ღრმად.

წინ იდგა შეშინებული ნახი ლო-
ტოსი, ქალად ქცეული.

მოახლოვდა განთიადი. ტბასა,
ტყეს, მინდორს ვაღაპრა ოქროს
ფერმა. გაისმა ფრინველთ სიმღერა
და ამ სიმღერას შეუერთდა ტბილი
ხმა ჩანვისა და კაცის ხმა.

კრიშნამ წარმოსთქვა:

— ეგ ვალმიკია, ჩემი მგოსანი.
მზის ამოსვლის დროს აედერებს
ჩანვსა.

უცებ გამოჩნდა ტბის ნაპირას
დიდი მგოსანი.

ნახა მგოსანმა ნახი ლოტოსი,
ქალად ქცეული, და ხმა გაუწყდა, ჩან-
ვი გავარდა ხელიდან, გაწყდა სიმე-

ბი და დიდ ხანს იდგა გაშეშებული.
უბრძანა ღმერთმა მგოსანს ელ-
მიკის:

— გონს მოდი, მგოსანო. ილაპა-
რაკე.

— მიყვარს!..
მხოლოდ ეს სიტყვა ახსოვდა მგო-
სანს, მხოლოდ ეს ერთი სიტყვა წარ-
მოსთქვა.

ღმერთს გაეხარა.
— ყვავილო, ქალად ქცეული,
გიხაროდეს. ვაოვე შენთვისა აღვი-
ლი ღირსეული და შესაფერი: და-
სახლი მგოსნის გულში.

— მიყვარს!..
მხოლოდ ეს სიტყვა ახსოვდა მგო-
სანს.

ყოვლად შემძლებელ კრიშნას სურ-
ვილით, გული მგოსნისა ქალს იზიდა-
და.

ნათელი, როგორც ღლე ზაფხუ-
ლისა, მშვიდი, როგორც წყლის
ტალღა მდინარე განვისა, წარემართა
ქალი და დასახლდა მგოსნის გულში.
მაგრამ უეცრად ქარსავით დაპკრა
შიშმა, კანკალმა იტანა და სახე გაუ-
ფიქრდა. გაკვირდა კრიშნა.

— ყვავილო, ქალად ქცეული, ნუ
თუ მგოსნის გულისა ცემინიან?!

— უფალო, სად მიბრძანე მე და-
სახლებამ? მატრო ამ გულში ვნახე
თოვლით მოსილნი მაღალნი მთანი,
საშიშარ ცხოველებით სახე ზღვის
სიღრმე, თვალ უწვდენელი მინდო-
რი და ქარიშხალი, ელლორის ბნე-
ლი ღვიმე-მალარო... და ისევ მე-
შინიან, უფალო!

მოწყალე კრიშნამ უბასუხა:

— დამშვიდდი, ყვავილო, ქალად
ქცეული. თუ მგოსნის გულში თო-
ვლი სდევს, შენ გახაფხულის სი-
თბო იყავ და თოვლი დაადნე; თუ
მგოსნის გულში სიღრმეა ზღვისა, შენ
მარგალიტი იყავ ამ სიღრმეში; თუ
მგოსნის გულში თვალ-უწვდენელი
ხრიოკებია, მოჰვიწიე ამ ხრიოკებში
ყვავილები ბედნიერებისა; თუ მგოს-
ნის გულში ელლორის ბნელი მაღა-
რო ნახო, იყავ შუქი ნათელის.

ვალმიკიმ მხოლოდ ეხლა შესძლო
ხმის ამოღება და დასძინა კრიშნას
სიტყვებს:

— და იყავნე კურთხეული!..
ა. 5.

დავით ბარსეზის უდაბნოს გუ-
ჯარში
(შემდეგი *)

№ 22. გერმანეს. მის მაღალ
ღირსებას წმინდის დავით-გარესჯის
მონასტრის წინამძღვარს უფალს.

საქართველოს უფლისწული ბატო-
ნიშვილი გიორგი წმიდასა და ნათ-
ლით შემოსილს მარჯვენეს მთხვე-
ნას მოგახსენებთ. მერე ამ ჩვენს ყმას
ლორესს ალავერდისშვილს ფარსა-
დანას, რადგანაც მონასტრის ყმობა
თავისის ნებით მოენდომებინა, ჩვენც
მოვართვით და შემოვწირეთ, სიგე-
ლიც ვახსოვით და ეს კაციცა. რა-
დგანაც თქვენი ყმა შეიქნა, ამას თა-
ვისთვის სასიკოცხლოთ მამული უნ-
და უბოძოთ, რომ თქვენი სამსახუ-
რიც შეიძლოს და თავისი ცოლშვი-
ლიც არჩინოს; და როდესაც სიგელი
მოგბარდეს, თქვენგან ბარათი უნდა
გვებოძოს, რომე მოგვბარდაო, მი-
სისც, ქორონიკონსა უთა — 1781 წ.

ღმერთი.

*) იხ. „ივერია“, № 130.

წინამძღვარი დავით-გარესჯის უდა-
ბნოსი გერმანე შემდეგ 1782 წ. ტფი-
ლელ მიტროპოლიტად იქმნა დაღვე-
ნილი და დიდი საყვარელი იყო მე-
ფეთა.

№ 23. „ქ. წმინდის დავით-გარე-
სჯის კრებულთა სულ ერთობით ჩე-
მის ცოდვისაგან დანთქმული, ბატო-
ნიშვილი გიორგი წმინდას მარჯვე-
ნეს მიხვევას მოგახსენებთ. მერე გან-
მრავლდა ჩემი ცოდვა და ეს განსაც-
დელი მომევილინა: მაშინაც ხომ მო-
ვზომეთ მანდ საფლავი ამ ჩემის მეუ-
ღლისათვისაცა და მანდ უნდა მიი-
ლოთ მაგ საფლავშია, და ამ მამაშვი-
ლობასაც ვითხოვთ თქვენგანა, თუ
შეიძლებოდეს და ორსავ საყდარში
სწირვედეთ, ხომ ისი სჯობს, თუ
არა, მუდამ შაბათ ღღეს წმინდის
საფლავზედ სწირვედეთ და პანაშვი-
ლსაც იხდიდეთ; აგრეთვე იოანე
მახარებელის საყდარში წლამდინ წი-
რვა არ უნდა გამოწყდეს, მუდამ უნდა
სწირვედეთ, მამაშვილობასა. საწირა-
ვისა და პანაშვილის ფასიც მოგვრთმე-
ვათ, წლამდის წირვის მოკლება არ
იქნება, ეს ასე აღასრულეთ. შაბათ
ღღეს ორგანვე სწირვედეთ. წანდი-
ლისათვის ბრინჯი მოგვირთმევეთ
ოც-და-ათი ლიტრა, სამი ლიტრა ნუ-
შიცა. თიბათვის გ; პისტიმ ელმობით...

გიორგი ბატონიშვილი იქორწინა
ს. ვეჯინში რევაზ ანდრონიკაშვილის
ასულს ქეთევანზედ 1765 წ. ეს ის
ქეთევანია, რომელმაც 1779 წ. ღარ-
თისკარში 600 ლეკის თარეში დაა-
მარცხა თავის ამალით, ჩამოვიდა
ტფილისში და ერეკლემ ცალმულ-
მოდრეკილი წელზედ შემოარტყა
სახალხოდ აქრის ხმალი. ქეთევანი მიი-
ცვალა 1781 წ. ივნისის 2-ს თემუ-
რაზის მშობიარობაზედ. დასაფლავეს
დავით გარესჯის იოანე მახარებლის
საყდარში

3. ცხვილგული

11 ივნისს შედგება ამაჟი მოსდ
სადგურ მიტაიანსკში. ამ სადგურის
მასწავლებლად ორი ოჯახი სესხვარობს.
ორი ზატარა ბავშვი, ერთი ერთისა და
მეორე მეორე ოჯახისა, ოთხის წლისა-
ნი, აქვე უსოში თამაშობდნენ. მომბლე-
ბი მინდვრად აყენენ გასულნი სამუშაო-
სკად. ერთმა უმაწავლმა მეორეს თვალე-
ში მიწა შეაყარა. გაჭყარებული ამით
ბავშვი გაქვანა სამსარეულოში, გამოარ-
ბუნა სამსარეულოს დადი დასა და შიგ
პატარა მუღელში ჩასდგა შეურაცხყოფელს.
სამსარეო ბავშვი დაჯდა და სასხლით
დაირცლა.

— სომეხ მასწავლებლათა ბედ-
ბაღს ოსმალეთში ძლიერ დიდს უურად-
ლებას აქვეც ინგლისის საზოგადოება.
საქმე ისაა, რომ ოსმალეთის მთავრობამ
სასჯელი განუწესა რამდენსამე სომეხ მას-
წავლებელს რეკლამაციურ პრინციპის
გამო. 56 ბრძალბულ მასწავლებელ-
თაგან 14 გაამართლეს. ხოლო დანარ-
ჩუნთაგან 9 გაცნა მიუსჯეს შეადის
წლით დაპატიმრება, ამთში ერთი ქა-
ლთა, 9 —ათის წლით, 16-ს — 15 წლით
დაპატიმრება და 17-ს მიუსჯეს სიკე-
დილით დასჯა. ამთში მოჭყვა გაანა,
თუშანანი და ერთად მღვდელი. „ინგ-
ლისელ სომეხთა კავშირმა“ გაჭყარენ
ამის გამო სტამბოლში საგანგებო აგე-
ნტი, რათა თვალ-უწერი ელექციების საქ-
მის მიმდინარეობისათვის. 23 ივნისს

დღეებმა

25 ივნისი

პეტროპოლის. იუწყება, რომ გუშინ
დამბეჭდეს კასა და ყვე-

ლონდონში დასჯალ სომეხთა სასარ-
გებლოდ გაჭმართეს მიტინგი. ამ მიტ-
ინგს დაესწრნენ ინგლისის ყველა სასუ-
ლოლო საზოგადოებათა და კონგრეგა-
ციების წარმომადგენლები. კრებას თავ-
მჯდომარეობდა ზარდმეტის წყარა ალ-
ბერტ სპაიკერი. ანატოლიადგან გერმ-
კასაგან მაილეს შემდეგი წერილი: „მოთ-
ელი ეს პრინციპი საგანგებო მოწმობით
და უაღრეს დიქტირებით. მიწეზე ოს-
მალეთის გაბრუნებისა და ამოქვეყნისა მ-
სწავლებლათა წინააღმდეგ იყო ბრალ-
დადებულათა თვალ-უწერი გამოსარ-
ჩლება და შრომა შეცდენილთა თავის ერის
უფრო-მადგომარეობის გასაუმჯობესებლად.
მასწავლებლებს არავითარ უფასო სა-
შუალებას არა ჰქონდათ ამ მიზნის
მისაღწევად, ხოლო ოსმალეთს და ზო-
გერთა სომეხთა ჭკობებს დასდეს მათ
მოქმედებას ასეთი არა სასურველი ფე-
რი. ჩვენ სასარგებლო და აღტა-
რებით ევლოდით ამ საქმის სასამართ-
ლოში გარჩევას, გეგონას, სასამართ-
ლო ნათლად და აშკარად გამოაჩვენეს
ამ საქმის და სამართლებს აღადგენს, მა-
გრამ, განა შეიძლება სამართლებს მოე-
ლოდეს კაცა ოსმალეთისაგან? 22 ივ-
ნისის ინგლისის სასულიერო საზოგა-
დოებათა გუ. ზანეს გემრის დეპუტა-
ტი მოხლოდ შენის აზრით არის მართა-
ლი და უდასაშუალო კაცანი და სხვანი“.

გემრის დეპუტატი: „ჩემი მოწმობა ოფი-
ციალურად და ოთხ ამერიკულ ამხანაგთა-
გან არის შემოწმებული“.

ერთმა დამსწრეთაგანმა ამ კრებაზედ
წარმოსთქვა: ოსმალეთს ჩვეულებათა აქეთ,
რამწამს ზატარათა ბედ-ბაღსა საზო-
გადოების უურადლებას მიაქცევს, ზატა-
მარნი ერთ საზატამართლებს მეორეში გა-
დაჭყარეთ. ამასთან არც ერთი ბეწო შე-
ბრალება, არც უფრის ტდება. ფესში
ბრალე-გაყარებას გაარკვევენ წინცხრე-
ბაით, არც შესვენება, არც ზატევი.
ბეჭდ ზატამართლებს ამოუფა სული გზა-
ში დაქსრულებისა და შამოდასაგანაო.
თავმჯდომარემ სთქვა, რომ სასულიერ-
ო საზოგადოებათ უნდა გაჭმართან
განსაკუთრებით მიტინგი და გამოარ-
გეონ, თუ რა გვარად ამოქმედონ თავის
მთავრობაზედ, რომ ეს უდასაშუალო გა-
კრახენ ამ საქმეში და ასე თუ ისე ზედ-
გაულებს იქონიან ჩრდილო-ამერიკის მთა-
ვრობაზედ. უფრო თავ-გამოდებით უნდა
ამოქმედონ ამერიკის საზოგადოების
სამისიარებრო საზოგადოებამ — ათ, რა-
მდამც დაჭინონ ეს მასწავლებლები ანა-
ტოლიაში. ამ საზოგადოებას უფრო
მეტის გაკეთება შეუძლიან, რადგანაც
ძლიერ დადი და გაუფრთხიანაო. კრებამ
განდასწვითა დეპუტა გაუგზავნოს დადს
გემრის ს. სთხოვოს, ჩვენის ზარით მო-
ახსენე სულთანს ამ 17 სომეხთა ანა-
ტოის, რამდენად სიკვდილი მიუსჯეს
სო. ამ გვარად დეპუტა გაგზავნება
თვით სულთანს, ზარდმეტის რადე-
ნისამე წყარის სულ-მოწერიით. არც რე-
სუთის მთავრობა სტრეებს ამ გარემო-
ებას უფრადლებლად. ის გაფრთხილებით
თვალუფრს ადევნებს კათალიკოს სრამია-
ნის სკეს. რუსეთი აჯანყებს პრეტეს,
რომ სან-სტეფანოს სულ-შეგრულებას
ქრისტიანთა შესახებ მტკიცედ უნდა იქ-
მნას დაეულოთ.

პეტერბ. ვქდ.-ის შეუტყვია, რომ
ამ მოკლე ხანში განკარგულბებს მოახ-
დენენ, ყოველ გვარი სამეურნეო
ნაწარმოები უტყველოდ წონით გაიცი-
დისო.

ბერლინი. Boersen Courier ი
იუწყება, რომ სამშაბათს მემკვიდრე
ცესარევი ბერლინს მიბრძანდება და
აქ ორ ღღეს დარჩებაო.

პარიში. გუშინ სენის დეპარტა-
მენტის პრეფექტმა სამოქალაქო
საბჭოს წევრთა და დეპუტატებს
აუკრძალა შესვლა ქალაქის სამმარ-
თველოს დარბაზში, სადაც მათ კრე-
ბა უნდა გაემართათ და გამოუცხადა,
რომ მატრო საბჭოს წევრთ მივცემ
ნებას დარბაზში შესვლისასაო. ამ
განკარგულების გამო საბჭოს წევრთა
და დეპუტატებმა განაცხადეს თავი-
ანთი უკმაყოფილება და მიმართეს
პარიის მცხოვრებთ პროკლომაციით,
რომლითაც ჰკიცხვენ პოლიციასა და
ურჩევნ ხალხს, მშვიდად იყავითო.
ოფიციალურ მოხსენებაში ნათქვამია,
პრეფექტი დიუბუის ბრძანებით მო-
იქცა ასეო. სოციალისტთა კრებაზედ
მონმარტრში „Maison de peuple“
ში რამდენამე ორატორმა უჩრჩია
კრებას, ყველანი გავიფრთხილეთ და 2/11
ივლისის დღესასწაულში მონაწილე-
ობას ნუ მივიღებთო, ამით გამოვა-
ჩენთ ჩვენს უკმაყოფილებას შრომის
ბირეთს დაკრების გამოვო, „Maten“-ი
ამბობს, რომ 170 სინდიკატმა გადას-
წყვიტა, ყველანი გავიფრთხილეთო.
შრომის ბირეთს აღმსრულებელმა
კომიტეტმა გამოსცა პროკლომა-
ცია, რომელშიაც ურჩევს მუშებს:
მშვიდობიანობას ნუ დაარღვევთ და
მიემზრებით სინდიკატებს, რომლებიც,
რაც უნდა მოხდეს, მტკიცედ დაცვა-
მენ თავიანთ უფლებათაო. პარიის
დეპუტატებსა და საბჭოს წევრთ დი-
დი კრება ჰქონდათ „Germinal“-ის
რედაქციაში. რადიკალთა გახეთები
ძლიერ ჰკიცხვენ შრომის ბირეთს
გაუქმებას.

26 ივნისი

პეტროპოლის. დარსებულ იქმნა
თანამდებობა აგენტისა კათოლიკეთა
სასულიერო საქმეთათვის.

რომში გუშინ პეტრო სტეს გზათა
სამინისტროს ინჟინერთა საბჭოს თავ-
მჯდომარეს სალოვს 30 წლის იუბი-
ლეთს გამო; პირველად მიულოცა
მინისტრის თანამდებებმ პეტროვმა.
იუბილიას მიართვეს ადრესი; მიღე-
ბულ იქმნა მრავალი მისალოცი დე-
პემა.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ რუ-
სეთის სავაჭრო-სამრეწველო და სა-
კომისიო ბანკის აქციონერთა კრებამ
გადაწყვიტა იშუამდგომლონ მთა-
რობის წინაშე გადაღებულ იქმნას
ვალთან გადასახადები და დევე-

დღეებმა

25 ივნისი

პეტროპოლის. Новости იუწყება,
რომ გუშინ დამბეჭდეს კასა და ყვე-

